

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

სიღარიბე საქართველოსათვის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა, რაც პირდაპირ კავშირშია დასაქმების საკითხთან. აღნიშნული, მათ შორის, დადასტურდა სოციოლოგიური კვლევით, რომელიც ფრიდრიხ-ებერტის ფონდის მხარდაჭერით ნამალადევის N17 სამაჟორიტარო ოლქში ჩატარდა. კვლევის საფუძველზე მოქალაქეების აბსოლუტური უმეტესობა უმთავრეს პრობლემად სწორედ დასაქმებას ასახელებს. ასევე, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რომელშიც ასევე, ბიზნესიც იყო ჩართული, შეიძლება ითქვას, რომ 2020 წლისთვის ქვეყნის უმთავრეს გამოწვევად რჩება დასაქმების მაძიებელთა მაღალი რაოდენობა, გამოუყენებელი სამუშაო რესურსი და დისბალანსი პროფესიების მოთხოვნა-მიწოდებას შორის.

თანამედროვე, ევროპული სახელმწიფო, დასაქმების ხელშეწყობის კუთხით არის აქტიური, ქმედითი სახელმწიფო. ამგვარი სახელმწიფოს ხელისუფლება იღებს ვალდებულებას იზრუნოს მოქალაქეთა კეთილდღეობაზე, რაც საბოლოო ჯამში, ქმნის ეკონომიკურად ძლიერ და პოლიტიკურად სტაბილურ საზოგადოებას.

საქართველოს ისე, როგორც სხვა ევროპული ქვეყნების დიდ ნაწილის მიერ, დასაქმების პოლიტიკასა და მისი შედეგებზე ზრუნვა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ხელისუფლების მხრიდან დასაქმების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება იწვევს სამუშაო ბაზრის ეფექტურ სტიმულირებას, რაც თავის მხრიდან დადებითად აისახება მოქალაქეების კეთილდღეობასა და ეკონომიკური ზრდის ტემპების ზრდაზე.

საჭიროა სახელმწიფოს მიერ წარმართოს დასაქმების ხელშეწყობის იმგვარი აქტიური პოლიტიკა, რომელიც ერთი მხრივ, ერთმანეთთან დააკავშირებს სამუშაოს მაძიებელსა და ბიზნესს, მეორე მხრივ, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანს სამუშაოს მაძიებლების კვალიფიკაციასა და ქვეყანაში ბიზნესის მოთხოვნებს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დასაქმებული ადამიანების რაოდენობას და ხელს შეუწყობს ბიზნესს ხარისხის გაზრდაში, ისევე როგორც, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში.

ასევე, მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ადამიანების მოტივირება და მათთვის ისეთი სამუშაოს შეთავაზება, რომ შეძლონ ღირსეულად საკუთარი თავისა და ოჯახების რჩენა, საკუთარი პროფესიული უნარების განვითარება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

დასაქმების აქტიური პოლიტიკის დასახელებული სისტემური რეფორმა საჭიროებს საკანონმდებლო ჩარჩოს, იმისათვის, რათა კანონის დონეზე განისაზღვროს ის სისტემა, რომელმაც წარმატებით უნდა იფუნქციონიროს დასაქმების კუთხით.

საკანონმდებო ცვლილებები ეფუძნება დასაქმების ხელშეწყობის საპილოტე პროექტს, რომელიც 2019 წლის სექტემბრიდან წარმატებით ფუნქციონირებს ნამალადევის N17 სამაჟორიტარო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატის, სოფო კილაძის ბიუროს მიერ და

რომელიც განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის ხელშეწყობით. საპილოტე პროექტი, თავის მხრივ, ეფუძნება კვლევას, რომელიც ჩატარდა გერმანული და ავსტრიული გამოცდილებისა და ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით. საპილოტე პროექტის შედეგების გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების აქტიური პოლიტიკა საქართველოს მაგალითზე შეიძლება იყოს წარმატებული.

კანონპროექტით გათვალისწინებული დასაქმების ხელშეწყობის სისტემური ხედვის გამყარება, მნიშვნელოვანი ჯერ კიდევ სასკოლო ასაკიდან, შესაბამისად კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ზოგადი განათლების საფეხურზე, შესაბამის ეფექტიანი მექანიზმის შექმნით, იზრუნებს პროფესიის არჩევისა და კარიერის სწორად დაგეგმვის უზრუნველყოფაზე და შესთავაზებს მოსწავლეებს, როგორც პროფესიული კონსულტირების, ისე კარიერის დაგეგმვის სერვისს.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, სამუშაოს მაძიებლების დასაქმებას და მეორე მხრივ, ბიზნესს დასაქმებული ჰყავდეს კვალიფიციური კადრები. ის, ასევე, ხელს შეუწყობს ბიზნესისა და განათლების მოთხოვნა-მიწოდებას შორის ბალანსის უზრუნველყოფას.

კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგია, არა მხოლოდ დასაქმებული მოქალაქეების რაოდენობის ზრდის უზრუნველყოფა, არამედ, საზოგადოებაში სოციალური ფონის გაუმჯობესება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტზე მუშაობისას ჩატარებული სისტემური ანალიზის შედეგად, ინიციატორის მიერ შემოთავაზებულა საკანონმდებლო რეგულაციების კონცეფტუალური სიახლეები:

- დასაქმების ხელშეწყობის აქტიური და სისტემური პოლიტიკის წარმოება;
- იმგვარი დასაქმების ხელშეწყობის სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის მოთხოვნების შესაბამისი განათლების მქონე ადამიანურ რესურსს;
- უმუშევარ პირთა მოტივაციის ამაღლება გახდეს დასაქმებული, მათი პროფესიული კვალიფიკაციის გაუმჯობესებასა და გააქტიურებაზე ზრუნვა.
- დასაქმების სახელმწიფო სერვისების მიღება ერთი ფანჯრის პრინციპით.
- სამუშაოს მაძიებლისთვის მისი კვალიფიკაციიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე მისი შანსების შეფასება და მისთვის შესაბამისი ალტერნატივების შეთავაზება როგორცაა:
 - შესაბამისი სამუშაო ადგილი;
 - პროფესიული სასწავლებელი და შემდეგ შესაბამისი სამუშაო ადგილი;
 - ანაზღაურებადი სტაჟირება და შრომის ანაზღაურების სუბსიდირება;
 - ბიზნესის წამოწყების ყველა არსებული სახელმწიფო პროგრამა;
 - საზღვარგარეთ დასაქმება (შრომითი მიგრაცია).

კანონპროექტი ადგენს დასაქმების ხელშეწყობის ერთიან პრინციპებს, როგორცაა: დასაქმების ხელშეწყობი საქმიანობის ინდივიდუალიზაცია, საქმიანობის არჩევანის თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა, მიუკერძოებლობა, სამუშაოს მაძიებლის მოტივაცია, საჯარო - კერძო პარტნიორობა, დასაქმების ხელშეწყობის უფასო სახელმწიფო სერვისი, ერთი ფანჯრის პრინციპი.

კანონპროექტი მესამე თავით განსაზღვრავს დასაქმების ხელშეწყობის შემდეგ ძირითად ფორმებს: დამსაქმებლებისა და სამუშაოს მაძიებელთა ერთმანეთთან დაკავშირება, დასაქმება, შრომის ანაზღაურების სუბსიდირებით დასაქმება, სტაჟირება, საზღვარგარეთ დასაქმება (შრომითი მიგრაცია).

კანონპროექტი ქმნის დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებათა ისეთ ეფექტიან სისტემას, რომელიც ემსახურება სამუშაოს მაძიებელი ხელშეწყობას ხელშეწყობას გახდნენ დასაქმებულები. კანონპროექტით გათვალისწინებული დასაქმების ხელშეწყობის პროცედურული ღონისძიებები გულისმობს სამუშაოს მაძიებლად რეგისტრაციას, რეგისტრირებულ პირთა მონაცემების დამუშავებას, სამუშაოს მაძიებელთა ინფორმირებას და კონსულტირებას, მათი დასაქმების შანსების შეფასებას და პროფილირებას, კარიერული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენას, სამუშაოს მაძიებელთა გადამზადებას, სამუშაოს მაძიებლის დასაქმებას, დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევას, დამსაქმებელთა ხელშეწყობას და მოტივაციისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. გარდა ამისა კანონპროექტი ითვალისწინებს დამსაქმებელთა ხელშეწყობასა და მათი მოტივაციის გაზრდას, დაასაქმოს მეტი მოქალაქე.

კანონპროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს. მათ შორის, შემოთავაზებულია, შესაბამისი რეგულაციები სოციალური დახმარების მიმღები პირების მიმართ. კანონპროექტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სარგებლობენ შრომის ბაზარზე უპირატესი დაცვის უფლებით, მათ აქვთ პროფესიული რეაბილიტაციის უფლება, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფილია სააგენტოს მიერ. სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის კანონპროექტი ითვალისწინებს დაცულ სამუშაო ადგილების შექმნას. დაცული სამუშაო ადგილი წარმოადგენს დამსაქმებლის მიერ, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან შეთანხმებით, იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც შშმ პირისათვის არის ადაპტირებული. დაცული სამუშაო გარემოს ადაპტირების ან შექმნისათვის სააგენტო უფლებამოსილია მოახდინოს დამსაქმებლის სუბსიდირება, იმ პირობით, რომ სამუშაო გარემო უნდა ფუნქციონირებდეს სულ მცირე 3 წლით.

კანონპროექტით განსაზღვრულია სამუშაოს მაძიებლისა და დამსაქმებლის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ, ერთი მხრივ, დამსაქმებელთა საჭიროებების გამოვლენას და მათზე რეაგირებას, ხოლო მეორე მხრივ სამუშაოს მაძიებელთა მოტივაციას და მათ დასაქმებას.

საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყანაში საშინაო პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი, აღნიშნული კანონპროექტის თანახმად, ადგენს აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის წარმოების, მისი დაგეგმვისა და ანალიზის ძირითად საკანონმდებლო საფუძვლებს.

აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი ზომების მიღებას. მაგალითად, უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის შექმნას. კანონპროექტის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლება უზრუნველყოფს აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის ერთიან ანალიზს, უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლას და მის შემდგომ დაგეგმვას.

კანონპროექტით დადგენილია დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები და ამასთან ერთად, დასაქმების ხელშეწყობის განმახორციელებელ სისტემა, რომელის მიხედვითაც, დასაქმების ხელშეწყობი ღონისძიებების შესრულება ხდება საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობის საფუძველზე. კანონპროექტის მიზნების ეფექტიანად შესრულებისათვის, იგი უშვებს შესაძლებლობას, ხელშეკრულების საშუალებით დასაქმების ხელშეწყობის საქმიანობის განსაზღვრული ფუნქციის ან სამუშაოს შესრულება განსახორციელებლად გადაეცეს არამომგებიან (არასამეწარმეო) იურიდიულ პირს.

კანონპროექტის მიხედვით კანონპროექტი ავალდებულებს სოციალური დახმარების მიმღებ პირებს, დარეგისტრირდნენ სააგენტოში სამუშაოს მაძიებლებად. ამასთანავე, სააგენტო ხელს უწყობს სოციალური დახმარების მიმღები პირების დასაქმების მოტივაციის ამაღლებაში.

აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, რეფორმის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან კონცეფტუალურად არის გამიჯნული სამუშაოს მაძიებელი და უმუშევარი. კანონპროექტის თანახმად, სამუშაოს მაძიებელი არის პირი, რომელიც აქტიურად ეძებს სამსახურს, შეუძლია მუშაობის დაიწყება მომდევნო ორი კვირის განმავლობაში და დარეგისტრირებულია დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დასაქმების მაძიებელთა ბაზაში. თუმცა უმუშევარი, სამუშაოს მაძიებლისგან განსხვავებით, არ მუშაობს და არც ეძებს სამუშაოს. სწორედ, ამ კატეგორიის პირთა გასააქტიურებლად არის მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა. ამ მიზნით სააგენტო ხელს უწყობს შრომისუნარიან უმუშევარ პირთა დასაქმების მოტივაციის ამაღლებას და მათ გააქტიურებას დასაქმებისა და მომზადება-გადამზადების პროგრამებში ჩართვის კუთხით. კანონპროექტის თანახმად, ამ მიმართულებით სააგენტოს ღონისძიებები შესაძლებელია იყოს ისე როგორც ინდივიდუალური კონსულტაციები და ასევე ფართომასშტაბიანი ცნობიერების ამაღლების კამპანიები.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

აღნიშნული ქვეპუნქტი არ ვრცელდება წარმოდგენილ პროექტთან მიმართებით.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღი - 2021 წლის 1 სექტემბერი შეირჩა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული

ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭიროა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, რაც მოითხოვს შესაბამის დროს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

კანონის პროექტის ინიციატორი არ ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო საშუალოვადიან პერიოდში არის სახელმწიფო ბიუჯეტი და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები.

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი ითვალისწინებს არანაკლებ საარსებო მინიმუმის ორმაგი ოდენობის ხელფასის გაცემის ვალდებულებას იმ პირთათვის, რომლებიც დასაქმდებიან ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, ამ კანონის საფუძველზე დასაქმების სააგენტოს ხელშეწყობით (მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი). შესაბამისად, კანონის მოქმედება გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე იმ ოდენობით, რა ოდენობის შენატანსაც განახორციელებენ ეს დასაქმებულები ხელფასიდან საშემოსავლო გადასახდელის სახით.

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს და მისი შესაბამისი რეგიონული წარმომადგენლობის წლიური ბიუჯეტი შეადგენს 3 893 000 ლარს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა განსაზღვრავს სააგენტოს ჯამურ ბიუჯეტს, ჩაშლილ პროგრამებისა და წლების მიხედვით. შრომისა და დასაქმების 2019-2023 წლის სახელმწიფო სტრატეგიაში მე-2 მიზნად გაწერილია, რომ დასაქმების აქტიური პოლიტიკის პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა 2023 წლისთვის გაზრდილი უნდა იყოს 50 პროცენტით. შესაბამისად უნდა გაიზარდოს იმ პროგრამების დაფინანსებაც, რომელიც ამ ჩართულ პირებს ემსახურება. ამიტომ 2021-2023 წლებისთვის, 27.05.01 და 27.05.03 პროგრამების ბიუჯეტები განსასაზღვრია ისეთი ზრდის ტემპით, რომ 2023 წლისთვის ფიქსირებოდეს 2020 წლის ბიუჯეტის 50 პროცენტის ზრდის მაჩვენებელი, სქემით 10%+20%+20%. რაც შეეხება ადმინისტრაციის ბიუჯეტს, პროგრამ 27.01.08, 2020 წელს გათვლილია 1 103 000 ლარი, ხოლო 2021 წლიდან 2 200 000 ლარი. ამაში შედის შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა რაოდენობრივი ზრდაც (მაგალითად ტექნიკური პერსონალის დამატება შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის (ვორკნეტი) ადმინისტრირებისათვის) და ასევე ხელფასების ზრდაც.

პროგრამა	2021	2022	2023	2024
დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა 27.01.08.	2 200 000	2 200 000	2 200 000	2 200 000
დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები 27.05.01	770 000	910 000	1 050 000	1 050 000
სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა 27.05.03	2 299 000	2 717 000	3 135 000	3 135 000
ჯამი	4 490 000	5 827 000	6 385 000	6 385 000

ყველა ღონისძიება და პროგრამა განხორციელდება ამ ფარგლებში

შრომის ანაზღაურების სუბსიდირება (მე-15 მუხლი) არ არის ახალი ვალდებულება, მიმდინარე ღონისძიებაა, ის ამ კანონის ამოქმედებამდეც ხორციელდება, სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების ფარგლებში და კანონის ამოქმედების შემდეგ დამატებითი ხარჯების გამოყოფა ბიუჯეტიდან საჭირო არ იქნება.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები (მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი) არ საჭიროებს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, რადგან ეს ღონისძიებები უკვე ხორციელდება და ამ კანონის ამოქმედების შემდეგაც გაგრძელდება უკვე არსებული ასიგნებების ფარგლებში. ამ მიზნებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 2 090 000 ლარი.

შესაბამისად კანონის ამოქმედების შემდეგ დამატებითი ხარჯების გამოყოფა ბიუჯეტიდან საჭირო არ იქნება.

სტაჟირება (მე-16 მუხლი), ისევე როგორც შშმ პირთა მომზადება (34-ე მუხლის მე-4 პუნქტი) არ არის ახალი ვალდებულება, მიმდინარე ღონისძიებებია, ხორციელდებოდა ამ კანონის ამოქმედებამდეც და ფინანსდება სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ფარგლებში.

ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას არ საჭიროებს აგრეთვე შრომით მიგრაციასთან (მე-17 მუხლი) დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, რადგან ეს ღონისძიებები უკვე ხორციელდება და ამ კანონის ამოქმედების შემდეგ გაგრძელდება უკვე არსებული ასიგნებების ფარგლებში. ამ მიზნებისთვის სააგენტოში უკვე გათვალისწინებულია შრომითი მიგრაციის დეპარტამენტი 14 სამტატო ერთეულით და მათი საერთო წლიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 270 000 ლარს.

ანალოგიურად, დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებები (მე-18 მუხლი) არის მიმდინარე პროცესი და არ არის ახალი ვალდებულებები. ეს ღონისძიებები ხორციელდება და განხორციელდება არსებული ასიგნებების ფარგლებში და ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დამატებითი ხარჯების გამოყოფა საჭირო არ იქნება.

სააგენტოს ვალდებულება, მის ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემები შრომის ბაზრისა და დასაქმების ღონისძიებების შედეგების შესახებ წარუდგინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (21-ე მუხლის მე-3 პუნქტი), არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გამოყოფას და იგი განხორციელდება არსებული ასიგნებების ფარგლებში სააგენტოს მონიტორინგის და სტატისტიკის სამსახურის (7 სამტატო ერთეული, წლიური სახელფასო ბიუჯეტით 122 400 ლარი) მიერ.

სამუშაოს მაძიებელთა ინფორმირების ღონისძიებებს (22-ე მუხლი) სააგენტო განახორციელებს არსებული ასიგნებების ფარგლებში და ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დამატებითი ხარჯების გამოყოფა საჭირო არ იქნება.

სამუშაოს მაძიებლების კონსულტირება (26-ე მუხლი), თვითდასაქმებისა და მეწარმეობის შესახებ კონსულტირება (28-ე მუხლი), ინდივიდუალური კონსულტაციები და ფართომასშტაბიანი ცნობიერების ამაღლების კამპანიები (31-ე მუხლი), აგრეთვე შშმ პირების კონსულტირება (36-ე მუხლი) ხორციელდება და განხორციელდება არსებული რესურსებით დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში. შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედების შემდეგ ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფა საჭირო არ იქნება.

საქართველოს მთავრობის მიერ გარკვეული რეგულაციების დადგენის მიზნით კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება (27-ე მუხლის მე-3 პუნქტი) არ

საჭიროებს დამატებითი რესურსების მობილიზებას და ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევის ანალიზსა და შესაბამისი სამინისტროებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას (29-ე მუხლი) სტატისტიკის ეროვნული სამსახური განახორციელებს არსებული რესურსით და ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფა საჭირო არ არის.

სამუშაოს მაძიებლის დასაქმებისა და ამ კანონის სხვა მიზნებისთვის (32-ე მუხლი) გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებს სააგენტო განახორციელებს არსებული ასიგნებების ფარგლებში და ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დამატებითი ხარჯების გამოყოფა საჭირო არ იქნება.

შშმ პირების პროფესიული რეაბილიტაციის უფლებას (34-ე მუხლის მე-3 პუნქტი) უზრუნველყოფს სააგენტო არსებული საშტატო რესურსებისა და ასიგნებების ფარგლებში (51 შტატგარეშე კონსულტანტი).

აღნიშნული ადგილების სუბსიდირების პროგრამებს სააგენტო შეიმუშავებს არსებული ბიუჯეტის ფარგლებში (27.05.01 და 27.05.03 ქვეპროგრამების ბიუჯეტები). ამ ფარგლებში გამოვლინდება დამსაქმებლები, რომლებსაც ენდომება მოახდინოს სამუშაო ადგილის ადაპტაცია და 3 წლის განმავლობაში დაასაქმოს შშმ პირი.

საქართველოს მთავრობის მიერ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ანალიზის უზრუნველყოფა (42-ე მუხლი), ისევე როგორც შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გასული წლის ანგარიშის და მომავალი წლის გეგმის მომზადება და პარლამენტისთვის წარდგენა (44-ე მუხლი), განხორციელდება არსებული ადმინისტრაციული რესურსისა და ასიგნებების ფარგლებში. შესაბამისად, დამატებითი ხარჯების გამოყოფა საჭირო არ იქნება.

მნიშვნელოვანი საკითხია სააგენტოს მიერ რეგიონების დაფარვა და მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სააგენტოს სერვისებზე (53-ე მუხლის მე-4 პუნქტი). დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებებს ახორციელებდა სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც 69 მუნიციპალიტეტში არის წარმოდგენილი. ხოლო დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს თბილისის რაიონული ცენტრების ჩათვლით მხოლოდ 15 წარმომადგენლობა აქვს. აღნიშნული მიმართულებით სააგენტოს სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის აუცილებლობას წარმოადგენს მომდევნო წლებში სააგენტოს რეგიონული წარმომადგენლობების გაზრდა, რაც, პირველ რიგში, დაკავშირებულია სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების ზრდასთან. ამ მიმართულების გაძლიერება შესაძლებელს გახდის ბენეფიციართა რაოდენობის ზრდასაც, რაც თავის მხრივ პროგრამული დაფინანსების გაზრდას გულისხმობს. ყოველივე აღნიშნულის

გათვალისწინებით, საშუალოვადიან პერიოდში (2021-2024 წლები) საჭიროა სააგენტოს ბიუჯეტის გაზრდა 20-30 პროცენტით.

რაც შეეხება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (49-ე მუხლი), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (50-ე მუხლი), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (51-ე მუხლი) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (52-ე მუხლი) იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც განსაზღვრულია ამ კანონპროექტით, ეს სამინისტროები მათ უკვე ახორციელებენ და ამ კანონის ამოქმედების შემდეგ მათ განხორციელებას გააგრძელებენ არსებული ასიგნებების ფარგლებში, შესაბამისად, დამატებითი რესურსების მობილიზებისა და ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფის საჭიროება არ არსებობს.

დამატებითი ხარჯების გამოყოფას ასევე არ საჭიროებს უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირება (48-ე მუხლი), რადგან ამ მექანიზმის ფარგლებში შესაბამისი უწყებები თავიანთ საქმიანობას განახორციელებენ არსებული ასიგნებების ფარგლებში.

მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ დასაქმების ხელშეწყობის უფლებამოსილება, რასაც ახორციელებენ კიდევ მათი ბიუჯეტის ფარგლებში. ამ მიმართულებით გასაწევი ხარჯის ოდენობა დამოკიდებულია კონკრეტულ მუნიციპალიტეტში არსებული შესაბამისი პროგრამის არსზე (*ასეთის არსებობის შემთხვევაში*), მოცულობაზე, სავარაუდო ბენეფიციარების ოდენობაზე და სხვა.

რაც შეეხება წარმოდგენილი კანონპროექტით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის დამატებით უფლებამოსილებას (*დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს რეგიონალურ წამომადგენლობისათვის მხარდაჭერა*), მისი განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი ხარჯების გამოყოფა გათვალისწინებული და საჭირო არ არის და განხორციელდება არსებული ასიგნებების ფარგლებში. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის არსებული ასიგნებებიდან გასაწევი ხარჯების ოდენობა დამოკიდებულია კონკრეტულ მუნიციპალიტეტში სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიების არსზე და მუნიციპალიტეტის ჩართულობის საჭიროებაზე და ხარისხზე. როგორც აღინიშნა, მუნიციპალიტეტები ამ დამატებით უფლებამოსილებას განახორციელებენ არსებული ასიგნებების ფარგლებში.

შესაბამისად, კანონპროექტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას მუნიციპალიტეტების ორგანოები 2021-2024 წლებში განახორციელებენ არსებული რესურსით და ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფა საჭირო არ არის.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონის პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონის პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონის პროექტის განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

დებულება, რომლის თანახმად ყოველთვიური ხელფასი სულ მცირე 2-ჯერ უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმს, გავრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც დასაქმდებიან ამ კანონის ამოქმედების შემდეგ, ამ კანონის საფუძველზე დასაქმების სააგენტოს ხელშეწყობით. ამდენად, ამ პირთათვის კანონის მოქმედება გამოიწვევს პოზიტიურ ფინანსურ შედეგებს ხელფასის ოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოს მაძიებელი დასაქმდება შრომის ანაზღაურების სუბსიდირებით, კანონის მოქმედება დამსაქმებლების მიმართ გამოიღებს პოზიტიურ ფინანსურ შედეგს კონკრეტული სუბსიდიის ოდენობით. იმავდროულად, შესაძლებელია დამსაქმებლისთვის ფინანსური შედეგის წარმოშობა, იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ურთიერთობა შეწყდება შრომით ხელშეკრულების დადებიდან 9 თვეზე ნაკლებ პერიოდში დამსაქმებლის ინიციატივით.

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტი 2021-2024 წლებში არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი შესაბამისობაშია საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების 227-ე, 229-ე მუხლები, 239 მუხლის h ქვეპუნქტი, 348 მუხლის, 349 მუხლის b, c, d ქვეპუნქტებს, 360 მუხლის a, b ქვეპუნქტებთან, რომელთა თანახმად ხელისუფლებას აკისრია პოზიტიური ნაბიჯების გადადგმის ვალდებულებები დასაქმების აქტიური პოლიტიკის წარმოების საკუთარი მოქალაქეების მიმართ.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ფრიდრიხ-ებერტის ფონდი (Friedrich-Ebert-Stiftung),

პროფესორი ანა ფირცხალაშვილი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების), სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი - სოფო კილაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები - სოფო კილაძე, ირაკლი კობახიძე, შალვა კიკნაველიძე, მერაბ ქვარაია, რატი იონათამიშვილი, დიმიტრი ცქიტიშვილი, ილია ნაკაშიძე, დიმიტრი მხეიძე, დავით მათიკაშვილი, ანრი ოხანაშვილი, პაატა მხეიძე, გია ბენაშვილი, ცოტნე ზურაბიანი, გოგი მემველიანი, ენძელა მაჭავარიანი, სვეტლანა კუდბა, ფატი ხალვაში, დიმიტრი ხუნდაძე